№ 52

ოთხშაბათი, 10 მარტი, 1899 წ.

**გაზეთის ფასი:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227

1877—1899

# ივერია

№ 52

ოთხშაბათი 10 მარტი, 1899 წ.

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

**გაზეთის დასაბარებლად** და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარია

**ფასი განცხადებისა:**
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

1899

## „მოამბე“

### თვიური ჟურნალი

(წელიწადი მეექვსე)

**გამოვა იმავე პროგრამით**

მხოლოდ ჟურნალის ვრცელის პროგრამის სავსებით შესასრულებლად მიმდინარე წელს რედაქცია ეცდება, სხვათა შორის, მკითხველებს მიაწოდოს მიმოხილვანი შინაურის ცხოვრებისა და უცხოეთისა, აგრედვე კრიტიკა და ბიბლიოგრაფია. ამ განყოფილებათათვის მასალის შეკრება და სტატიების წერა იკისრა ახლად შედგენილმა სარედაქციო კომისიამ. ჟურნალში დაიბეჭდება ახალი ორიგინალური მოთხრობანი და დრამატიული თხზულებანი ჩვენის ცნობილი მწერლებისა.

უკვე დაიწყო ბეჭდვა სოფ. მგალობლიშვილის დიდის მოთხრობისა ჩვენის ცხოვრებიდან.

**ფასი ჟურნალისა გაგზავნით:**

| | 1 წლით | 6 თვით | 3 თვით |
|---|---|---|---|
| რუსეთის და კავკასიის ქალაქებში . . | **10** მან. | **6** მან. | **4** მან. |
| საზღვარ გარედ . . . . . | **13** მან. | **7** მან. | **5** მან. |

ვისაც წლიური ფასის ერთად შემოტანა ეძნელება, შეუძლიან შემოიტანოს: **1** იანვრამდე—**4** მან., **1** აპრილამდე—**3** მან. და **1** სექტემბრამდე—**3** მან.

ხელის-მოწერა მიიღება ტფილისში, ჟურნალ «მოამბის» რედაქციაში რომელიც იმყოფება ლორის-მელიქოვის ქუჩაზე **№ 13.**

წიგნის მაღაზიებს, რომელნიც იკისრებენ ჟურნალ „მოამბე“-ზე ხელის მოწერის მიღებას, შეუძლიანთ აიღონ მთელის წლის შემოსატანიდან კომისიისა და ფულის გამოგზავნისთვის ათი შაური, ხოლო თუ ფულს ნაწილ-ნაწილ შემოიტანენ, არაფერი დაუთმობათ.

შენიშვნა: 1) ჟურნალის თავის დროზე მიღებისათვის რედაქცია პასუხს აგებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ფული გამოგზავნილ ან შემოტანილ იქნება რედაქციის კანტორაში. 2) ქალაქ გარეშე ხელის-მომწერთ ფულის მიღების კვიტანცია გაეგზავნებათ მხოლოდ იმათ, ვინც ჟურნალის ფასთან ერთად წარმოადგენს 7 კაპ. ფოსტის მარკას ყოველ კვიტანციაზე.

ქალაქ გარეთ მცხოვრებთათვის ადრესი: *Тифлисъ, Редакція* **„Моамбе“.**

რედაქციამ მოსახერხებლადა სცნო სოფლის მღვდლებს, სოფლის მასწავლებლებს, ხელოსნებს და მოწაფეებს ჟურნალი დაუთმოს რვა მანეთად წელიწადში. ვისაც 8 მანეთის ერთად შემოტანა ეძნელება, შეუძლიან პირველში ოთხი მანეთი შემოიტანოს და ორ-ორი მანეთიც მარტში და აგვისტოში.

(20—6.—5)

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

**დილაობით:**

**ზ. ა. ხაჩასარდიანი**, 11—12 საათ. სადოსტაქარო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

**ვ. მ ჩიქოვანი**, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასიანცი.**—დილის 11—12 ს. ქალთა სენით ავადმყოფებს.

**ი. თ. პროტასევიჩი**—12—1 საათ. ყურის, ყელის, ცხვირის და გულის ავადმყოფ.

**ა. ზ. კარაშეტიანცი.** 1—$1^1/_2$ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

**ა. გ. გურკო.** $1^1/_4$—$2^1/_4$ ს. შინაგანი და საშარდეს ავადმყოფობის.

**საღამოობით:**

**გ. მ. მახვილაძე.**—5—6 საათ. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფ.

**ა. ნ. შპაკოვსკი**—6—7 საათ. ნერვების (ელექტროტერაპია), ვენერიული და კანის სნეულებ.

**ბ. ა. ნავასარდიანი**—$6^1/_2$—7 საათ.

**ტ. ი. რუდენკო**—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად, მიკროსკოპიულად და ბაქტერიოლოგიურად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана.*

**Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.**

(—1—წ)

## ექიმი
## კ. ი. გმელიშვილი

მიიღებს

ყელისა, ცხვირისა და ყურით ავადმყოფებს.

დილ. 9—11 ს., საღამოზე 5—7 ს.

მიხეილის ქუჩა, ნემეცების ეკკლესიის პირდაპირ. **Михайловская, противъ кирки.**

(100—31—20)

ნოტარიუსის

## ლევან მღებროვის
## კანტორა

გახსნილ იქმნა ქალაქ ტფილისის პოლიციის მეოთხე განყოფილებაში, გურგენოვის სახლის ზემო სართულში № 2, ერევნის მოედანზედ, თამამ-შოვის ქარვასლის პირდაპირ, განოვისა და სოლოლაკის ქუჩების კუთხეში.

ტელეფონი № 620. (30—6.—20)

## საჭიროა კასირი

ადრესი: **„შუამავალი“** კუთხე ბარონისა და ბაზრის ქუჩისა, სახლი თ. მუხრან-ბატონისა. ( —6.—2)

**შემოწირულება**

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ სასარგებლოდ გასამართავს ბაზარს შემოსწირა.

თავადის კახტანგ გურამიშვილის ასულმა ელისაბედმა: 2 მუთაქის მოქსოვილი სათავე და საქანელა-სავარძლის მოქსოვილი საფენი.

## ახალი ამბავი

*** ტფილისის გუბერნატორის თანამდებობის აღმასრულებელმა წარუდგინა კავკასიის უმაღლესს მთავრობას ტფილისის ქალაქის თვით მართველობის შუამდგომლობა იმის შესახებ, რომ მისის იმპერატორებითის უმაღლესობის დიდის მთავრის მიხეილ ნიკოლოზის ძის ორმოცდა ათის წლის სახელმწიფო სამსახურის შესრულების სახსოვრად, ნება მიეცეს ქალაქს დააარსოს დიდის მთავრის სახელობაზედ ოთხკლასიანი სამოქალაქო სასწავლებელი, დააწესოს სტიპენდიები ტფილისის დედათა გიმნაზიებსა და საბებიო ინსტიტუტში და დაარქვას ნაბერეჟნის ქუჩას დიდის მთავრის ქუჩა.

*** საბჭოს აღმასრულებელს კომისიას უკვე შეუმუშავებია პროგრამმა იმისა, თუ ქალაქმა როგორ უნდა იდღესასწაულოს ა. ს. პუშკინის დაბადებიდგან 100 წლის შესრულება. დღესასწაულები, როგორც ვუწყით, 26 მაისს იქმნება.

*** ამას წინად კავკასიის საიმპერატორო სამეურნეო საზოგადოებამ შუამდგომლობა აღძრა მიწად მოქმედების სამინისტროს წინაშე იმის შესახებ, რომ ნება მიეცეს საზოგადოებას წელს გამართოს მეაბრეშუმეობის გამოფენა-კონკურსები კავკასიის სხვა-და-სხვა ადგილას, სხვათა შორის კახეთისათვის სოფ. ველისციხეში და ბორჩალოს მაზრისათვის დაბა ჯელალ-ოღლში. ეს შუამდგომლობა სამინისტრომ კავკასიის მთავარ-მართებელს გამოუგზავნა თავისის აზრის გამოსათქმელად.

*** ტფილისის გუბერნატორის თანამდებობის აღმასრულებელმა წარუდგინა კავკასიის უმაღლესს მთავრობას სამეურნეო საზოგადოების შუამდგომლობა ალექსანდრეს ბაღში სამეურნეო იარაღის საწყობის გამართვის შესახებ. თავისის მხრივ ბ-ნი გუბერნატორი შესაძლებელად სცნობს ამ საწყობის გამართვის ნება დაერთოს საზოგადოებას.

## ფელეტონი

### კავკასიის შესახებ ლაპარაკი მოსკოვში.

(დასასრული *)

რით ავხსნათ ის გარემოება,—კითხულობს რეფერენტი,—რომ კავკასიის ბუნება, გაცილებით უმჯობესი შვეიცარიისაზე, ასე ნაკლებად არის აქამდე შესწავლილიო? ამის მიზეზი მრავალიაო, განაგრძობს რეფერენტი, და უმთავრესად-კი 1, რიგიანის გზების უქონლობა, განსაკუთრებით მიუვალ და შორეულ ადგილებში; 2, საცხოვრებელ ბინების უქონლობა ბუნებით შესანიშნავს ადგილებში, მაგალითებრ, რაჭა-სვანეთის მჟავე წყლებზედ, სადაც აღნიშნულ რიცხვს თუ გადასცილდა მნახველთა რაოდენობა, იძულებული იქნება ან მინდორში გაათიოს ღამე და ან შინ გაუდგეს. საცხოვრებელ ბინების უქონლობის გამო მრავალი უცხო მკვლევარი ვერ რჩება დიდხნობით და ვერ იკვლევს ყოველ მხრით კავკასიის მთების მწვერვალებს, ყინვარებს, გვირაბებს, მინერალურ წყლებს, და სხვ. ყველას თუ არ ენახება, გაეგონება, რა გაჭირვებას ითმენენ კავკასიის აბანოებისა და მინერალურ წყლების მნახველები და რაგვარის ბედის წყევლით ჰბრუნდებიან შინ თითო-ოროლა იქ განსაკურნებლად წასულნი. ისეთი ადგილები, როგორიცაა წყალტუბის და ზეკარის აბანოები, რაჭის და სვანეთის მჟავე წყლები და მრავალი სხ., ამ მხრით წარმოადგენს ყოველგვარ გაჭირვებათა ბუდეს, რომელთაც ავადმყოფნი მხოლოდ იმისათვის თუ ითმენენ, რომ იგი იმათის სენის გამკურნებელ საშუალებად ჰგონიათ. ამ აზრით გატაცებულიც ძნელად თუ ორს კვირას იქ დარჩეს ვინმე, მეტს ვერ გასძლებს. 3, თუ ამგვარ ადგილებში სურსათის გარდამეტებულ სიძვირესაც დაუმატებთ, მაშინ ხომ, უცხოქვეყნელებს-კი არა, ჩვენებსაც ბევრს დააფრთხობს ეს ადგილები; 4, უცხო-ქვეყნელების მოგზაურობის დამაბრკოლებელ მიზეზად მიაჩნია რეფერენტს „გამოცდილ გამყოლების“ (ПРОВОДНИКИ) ნაკლებულობა ჩვენში. ეს მართლაც ისეთი ნაკლია, რომელსაც მრავალი უცხო ქვეყნელი მოგზაური თუ მკვლევარი შეჰყავს შეცდომაში თვისის უვიცობით: აჩვენებს, ეტყვის და ჩააწერინებს იმისთანა რამეს, რაც ადგილობრივ ბუნებას თუ ხალხს სრულიად ვერ ახასიათებს სინამდვილით. 5-ე მიზეზად რეფერენტს მიაჩნია ენის უცოდინარობა მკვლევართა მიერ, რასაც, ჩვენის აზრით, ყველა ზემორე ჩამოთვლილ დაბრკოლებათა შორის უპირველესი ადგილი უჭირავს. ჯერ ბუნების გარეგან კვლევა-ძიებაშიაც მრავალი შეცდომა მოუვა მკვლევარს ადგილობრივი ენის უცოდინარობით, რადგან ვერ განმარტავს დანამდვილებით ამა თუ იმ მცენარეს, ბუნების მოვლენას, ცხოველების სახელწოდებას და სხ. და ვერ შეუდარებს მას უკვე გამოკვლეულ შესაფერ სახელებს, ტერმინებს. მაგრამ ეს კიდევ არაფერია, ხალხის ზნე-ჩვეულებათა და მათ სოციალურ დამოკიდებულებათა ახსნასა და გამოკვლევასთან შედარებით. აბა როგორ უნდა გამოიკვლიოს ადგილობრივ ენების, დიალექტების უცოდინარმა ამა თუ იმ ხალხის სოციალური ცხოვრება ან წარსული ან უფრო აწმყო, როდესაც მისი კვლევა-ძიება მუნჯურ მეთოდზეა დამყარებული?! ეს სფერა ჩვენის ცხოვრებისა რომ სრულიად შეუსწავლელია არა თუ უცხოელთა მიერ, არამედ ჩვენგანაც,—ამას დღეს ყველა ნათლად უნდა ჰხედავდეს და თუ ვისმეს თითო-ოროლა ესკიზი, მოთხრობა, ან წიგნაკი დაუწერია, ჩვენის ქვეყნის ცხოვრებიდგან,—ეს იმას არა ნიშნავს, რომ მან ჩვენის ცხოვრების ავ-კარგი, აღარ ვიტყვით ზედ-მიწევნით, დაახლოვებით მაინც იცოდეს. ამ რიგად ერთის მხრით თუ ჩვენ სასარგებლოდ ვერ ლაპარაკობს ის გარემოება, რომ უგზოობით, უბინაობით, გამოცდილ გამყოლეების ნაკლებობით და სურსათის სიძვირით პირ-შავად ვართ უცხო-ქვეყნელებთან, მეორე მხრივ ვერც ისინი დაიქადებენ კავკასიის მრავალ-ფეროვან ბუნების და კიდევ უფრო მრავალ გვარ ხალხის ცხოვრების მეცნიერულის სინამდვილით გამოკვლევას.

ამ აზრის დასამტკიცებელი საბუთი თვით რეფერენტსაც მოჰყავს რეფერატში. სვანეთის ერთ მიყრუებულს სოფელშიო, ამბობს იგი, სადაც არა თუ უცხო ენის მცოდნეს, ქართულის ენის მოლაპარაკესაც ძვირად შეხვდებით, ინგლისელმა მოგზაურებმა სთხოვეს მცხოვრებლებს საჭმელი და რადგან ერთმანერთისა არ ესმოდათ, ლაპარაკი მუნჯურად ხდებოდა; იმათ ცოტა რამ უშოვეს მგზავრებს, მაგრამ როცა ინგლისელებმა კვერცხი მოითხოვეს, მაშინ-კი ვერა გააგებინეს-რა და როცა ერთმა ინგლისელმა ჯოხით დაჰხატა სილაზედ კვერცხი, მაშინ სვანები წავიდნენ და მოუტანეს გოგორა და მანამდე ვერა გააგებინეს ინგლისელებმა სვანებს, ვიდრე ერთმა მათგანმა ქათამივით კაკანი არ დაიწყო.

შემდეგ რეფერენტმა აღნუსხა მოკლედ კავკასიაში უცხო ქვეყნელების მოგზაურობა და მათი ნაწერები. აქ მან ყურადღება მიაქცია მხოლოდ უმთავრესს მათგანს. მეცნიერ ბოტანიკოსთა შორის, რეფერენტის სიტყვით, პირველად მიუქცევია ყურადღება კავკასიის ბუნებისათვის გოლდენშტეტს, რომელსაც 1772 წ. უმოგზაურნია ძველ კოლხიდაში, იმ დროს, როდესაც ეს მხარეც იმერეთის სამეფოს შეადგენდა, მის მიერ შეკრებილი გერბარიები (გამხმარი მცენარეები) დღესაც ინახება პეტერბურგის სამეცნიერო აკადემიაში. აქედგან მოყოლებული 1825 წლამდე კავკასიას აღარ სწვევია არც ერთი ბოტანიკოსი. ამ წელს-კი ქუ-

*) იხ. „ივერია“ № 51.

ეროვნული ბიბლიოთეკა

⁂ გუშინ ვწერდით, რომ 7 მარტს განჯის მახლობლად ყაჩაღებმა მძიმედ დასჭრეს ბოქაული ჩიქოვანი და მოჰკლეს ერთი ჩაფარიო. როგორც ეხლა გვატყობინებენ, ბოქაული ჩიქოვანი უკვე გარდაცვლილა. ჩიქოვანი ახალგაზდა, 35 წლის კაცი იყო, მღვდლის შვილი. განათლება ტფილისის სასულიერო სემინარიაში ჰქონდა მიღებული. პირველად მსახურებდა ტფილისის საგუბერნიო მმართველობაში, შემდეგ მცხეთაში იქმნა გამწესებული ბოქაულად. იქიდგან მაზრის უფროსის თანაშემწედ იქმნა დანიშნული ჯერ სიღნაღსა და მერე გორში, საიდგანაც ამ ბოლოს დროს განჯის მაზრაში გარდაიყვანეს. ჩიქოვანს დარჩა ცოლი და ოთხი წვრილი შვილი, რომელთაც არავითარი სახსარი ცხოვრებისა არ გააჩნიათ.

⁂ ციციანოვის კლდიდგან ამ დღეებში კიდევ ჩამოვარდა დიდი ქვა. საბედნიეროდ ქვა არავის დასცემია და უბედურება არ მომხდარა.

⁂ ტფილისის მოქალაქეთა მამასახლისმა ტფილისის გუბერნატორის თანამდებობის აღმასრულებელს წარუდგინა ტფილისის მოქალაქეთა დეპუტატების კრების დადგენილება იმის შესახებ, რომ მოქალაქეთა მოურავს დაენიშნოს წელიწადში ჯამაგირი 1500 მანეთი. ეს დადგენილება უნდა გაგზავნილ იქმნას დასამტკიცებლად შინაგან საქმეთა სამინისტროში.

⁂ საბჭოს იმ კომისიამ, რომელსაც მინდობილი აქვს ქალაქის ქუჩების სახელების შეცვლა, დაადგინა, მიხეილის ქუჩას უწოდოს მიხეილის პროსპექტი.

⁂ ქ. გორის ზოგიერთა ამომრჩეველთა საჩივარს, 1898 წლის მომხდარ ქალაქის არჩევანების უკანონობის შესახებ, ამ დღეებში განიხილავს ტფილისის გუბერნიის ქალაქის საქმეთა საკრებულო.

⁂ გაზ. „მშაკს“ პარიჟიდგან სწერენ, რომ ს. ქვარიანს შეუდგენია ფრანგულს ენაზედ და დაუბეჭდია წიგნი ამ სათაურით: „La viticulture et la vinification au Caucase“.

⁂ ქუთაისი. ექვსს მარტს, საღამოს ხუთ საათზე, ვიღაც ნ-ს ი-ს თექვსმეტი წლის ქალი, მისისავე თანხმობით, ფაეტონით გაუტაცნია ხონისაკენ. ქალი და მისი დედა კ—ს სახლში ყოფილან. დედას აუტეხნია წივილკივილი, გამოჰკიდებიან, მაგრამ ვერ დასწევიან. ღამის ორ საათზე ქალი და კაცი ხონში შეუპყრიათ; ამბობენ, ქალი შეძლებულია და ამან აიძულა ბ-ნი ნ. მოეტაცნა იგიო. გამოძიება სწარმოებს, რადგან ქალის დედამ მთავრობას მიჰმართა.

⁂ ხაშური. აქ ბ-ნ სპიროს აქვს გამართული ერთი უხეირო აბანო, სადაც სურამულადან არის გაყვანილი წყალი, მაგრამ საქმე ის არის, რომ აბანოში წყალს როდი ათბობენ. მართალია, ზამთარში შეშა ყოველგან ძვირია და ნამეტურ ხაშურში, რომელიც ტრიალ მინდორში არის გაშენებული, მაგრამ ზამთარში ცივ წყალში ბანაობა არ არის სასიამოვნო. აბანოში იმ დალოცვილს ვიღაც დედა-კაცი დაუყენებია, რომელსაც თუ ღვთის წყალობა უთხარი, ათას უწმაწურ სიტყვას და მეხს დაგაყრის თავზე. ეს დედა-კაცი აბანოში მომსვლელთ ეუბნება, რომ გამთბარი წყალი გვაქვსო და, რაკი შიგ შეიტყუებს და წყლით დაასველებს, მერე მშვიდობით... იყვირეთ აბანოში, რამდენიც გსურდეთ!.. პირველად სახილებლად ერთი ბოთლის ოდენა თბილს წყალს მოგალანდებენ და მერე კი თავისუფლად დაიწყებს დენას სურამულას ყვითელი და ყინვასავით ცივი წყალი. ამას წინად სამიოდე მანდილოსანი შეიქმნა ასე მწარედ მოტყუებული და რალას იზამდნენ, გაცივდნენ საწყლები ძალზედ, დაემართათ გაძლიერებული ინფლუენცია, რომელსაც თავი ამდენ ხანსაც ვერ დააღწიეს.

⁂ გაზ. „კავკ.“-ს პეტერბურგიდგან დეპეშით ატყობინებენ: სახელმწიფო ქონებათა სამინისტრომ განმარტა, რომ მთელ აფშერონის ნახევარ კუნძულზედ, სადაც ნავთის წარმოებაა, ნავთიან ადგილების კვლევა-ძიების ნება არავის უნდა მიეცეს. 1896 და 1897 წლის ბაქოს ამართაბოძები, შეიტანა სახელმწიფო ქონებათა გამგეობაში განცხადებანი და მიწად-მოქმედების მინისტრის წინაშე შუამდგომლობა აღძრა, რომელშიაც თხოულობდა, ნება მოგვეცით ნავთის კვლევა-ძიებას შევუდგეთ აისამალის მიდამოში, გასაბ-აგილსა, კოსსა, დუვიალიკსა და სხვაგანაო. ამის გამო სამინისტრო საჭიროდ სცნობს საყოველთაოდ გამოაცხადოს, რომ დღემდის ძალაშია 1892 წლის განკარგულება: კანონით იმ სახელმწიფო მიწებში, რომელნიც ნავთიანად არიან აღიარებული, კვლევა-ძიება აღკრძალულია. ამასთან სამინისტრო არ დააკმაყოფილებს შუამდგომლობებს კვლევა-ძიების ნება-რთვის აღების შესახებ აღნიშნულ ადგილებში. აფშერონის მიწების გეოლოგიურად გამოკვლევის შემდეგ, ის მიწები, რომელნიც ნავთის მხრივ კეთილ-საიმედოდ იქმნებიან ჩათვლილნი, დანაწილებულ და საჯარო ვაჭრობით გაცემულ იქმნებიანო.

⁂ 1888 წელს გამოქვეყნებულ იქმნა უმაღლესი ბრძანება მტკვართან მუხრანის ხიდის გასაკეთებლად გეურქ ახნაზაროვის მიწის ნაჭრის დათმობის შესახებ. ამ მიწის ნაჭრის დასაფასებლად შესდგა განსაკუთრებული კომისია ტფილისის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლის თავმჯდომარეობით. კომისიამ უკვე დააფასა ეს მიწა,—ოთხკუთხი საჟენი 50 მანეთად; სულ უნდა დაეთმოს ახნაზაროვის მიწისა 988 ოთხ-კუთხი საჟენი. ქალაქის წარმომადგენელი ამ კომისიაში, ხმოსანი ფრიდონოვი არ დათანხმდა ამ გარდაწყვეტილებას. იმის აზრით, ერთ ოთხკუთხ საჟენ ცალიერ ადგილში უნდა მიეცეს პატრონს 30 მანეთი, ხოლო იმ ადგილში, სადაც შენობაა 50 მან. ამის გამო გუშინ წინ ქალაქის გამგეობამ სთხოვა კომისიის თავმჯდომარეს ხელ-ახლა იქმნას დაფასებული ახნაზაროვის მიწა.

⁂ გაზ. „ტფილ. ფურ.“-ი იუწყება, რომ ცხინვალის მომრიგებელ სასამართლოს გამგე, მომრიგებელ მოსამართლის თანაშემწე ვ. ვ. სტეფანოვი გადმოჰყავთ იმავე თანამდებობაზედ ტფილისში, ხოლო იმის ადგილას ჰნიშნავენ ტფილისის სამოსამართლო მდივნის თანაშემწეს ნ. თ. ვასილევსო.

⁂ წარსულის წლის განმავლობაში ქალაქის სამკურნალოსა და იმის ორს განყოფილებაში მიღებულ იქმნა სულ 4,442 ავადმყოფი.

⁂ გუშინა ვწერდით, რომ პოლიციელის ვასილ ტარასოვის მკვლელი ორი თათარი აღმოჩნდაო. როგორც პოლიციის გამოძიებამ აღმოაჩინა, მკვლელობაში ამ ორის თათრის,—ბაირამოვისა და შავილატ ოღლის გარდა, ვიღაც მესამე კაცსაც მიუღია მონაწილეობა. წინა ღამეს ბაირამოვი და შავილატ-ოღლი გაქურდულ დუქნებთან დადიოდნენ თურმე; რამდენჯერმე პოლიციის ბოქაულს გლებოვსაც კი უნახავს იქ. მოკლულს ტარასოვს დარჩა ცოლი და ერთი შვილი. ამათ სასარგებლოდ ხელის-მოწერაა გამართული პოლიციელთა შორის.

⁂ წლიური კრება ტფილისის წყალში დარჩობისაგან გადამრჩენელ საზოგადოების წევრთა დანიშნულია 14 მარტისათვის.

⁂ „კავკ.“-ს სწერენ, რომ თელავის მაზრაში ამას წინად სადღაც დაიკარგა სოფ. ყარაჯალის მცხოვრები 20 წლის თათარი ალიხან-ასტან-ოღლი, რომელიც ეხლახან იპოვნეს გაყინული რუის პირში ბაღების მახლობლადაო.

## ქალაქის საბჭო

8 მარტი.

საბჭოს უნდა აერჩია ქალაქის მოურავის მოადგილე. ხმოსანმა ლ. ი. მღებროვმა სთქვა კრებაზედ, რომ ქალაქის მოადგილის თანამდებობაზედ ა. ი. ივანენკო იყო არჩეული საბჭოს მიერ და შინაგან საქმეთა მინისტრისაგან დამტკიცებულიო. კავკასიის მთავარ-მართებლის განკარგულებით იგი დათხოვნილ იქმნა ქალაქის გამგეობის წევრობიდგან, მაგრამ ნაბრძანები არ ყოფილა, რომ ქალაქის მოურავის მოადგილის თანამდებობიდგანაც არის დათხოვნილიო. ა. ი. მიტკევიჩმა ამის წინააღმდეგ განაცხადა, რომ ა. ი. ივანენკო რაკი გამგეობის წევრობიდგან დათხოვნილ იქმნა მთავარ-მართებლის მიერ, ქალაქის მოურავის მოადგილეობიდგანაც დათხოვნილად უნდა ჩაითვალოს, რადგან კანონის ძალით ამ თანამდებობას უნდა ასრულებდეს უთუოდ გამგეობის წევრი და არა სხვა ვინმეო. მ. ი. დოლუხანოვმაც ეგევე აზრი გამოსთქვა თავისს სიტყვაში. ქალაქის მოურავი შეეკითხა საბჭოს—ა. ი. ივანენკო დათხოვნილად უნდა ჩაითვალოს ქალაქის მოურავის მოადგილის თანამდებობიდგანაც და იმის ადგილას სხვა ვინმე უნდა იქმნას არჩეული თუ არაო, მაგრამ სანამ ხმებს ჩამოატარებდნენ, გამგეობის წევრმა თავ. ვ. ნ. ჩერქეზიშვილმა წინადადება მისცა საბჭოს—მიანდით ქალაქის მოურავს, შეეკითხოს ბ-ნ გუბერნატორს, რომ ბ-ნი ივანენკო დათხოვნილია თუ არა მოურავის მოადგილის თანამდებობიდგანო. ხმოსანმა ფრიდონოვმაც ეგევე აზრი გამოსთქვა. ქალაქის მოურავს ხმები უნდა მოეკრიბნა ამ წინადადების შესახებ, მაგრამ საბჭო შეუყოყმანდა და ცოტაოდენ კამათის შემდეგ ეს საგანი ქალაქის მოურავმა გამორიცხა განსახილველ საგნებიდგან და შემდეგ კრებისათვის გადასდვა.

სხვა საქმეთა შორის, რომელიც საბჭომ განიხილა, საყურადღებოა სამოსწავლო კომისიის დადგენილება იმის შესახებ, რომ გრაფ მ. ტ. ლორის-მელიქოვის სტიპენდია დაენიშნოს პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტს ი. იუზბაშევსო. ქალაქის გამგეობაც თანახმა გამხდარა ამ გარდაწყვეტილებისა. კომისიას უხელმძღვანელებია თავისს გარდაწყვეტილებაში...

---

თაისისა და ტფილისის გუბერნიებში უმოგზაურნია ეიხვალდს და მრავალი მცენარე შეუკრებია. ათის წლის შემდეგ ქუთაისის გუბერნიაში ჩამოსულა პროფ. ნორდმანი, რომლის მიერ შეკრებილი მცენარეთა სია მოთავსებულია ლედებურის შრომაში „Florae Rossicae“. 1844 წ. კავკასიაში ყოფილა კარლ კოხი და უმოგზაურნია ქუთაისის გუბერნიაში, 1839 წ., დიუბუადე-მომპერიე, რომელსაც გამოუკვლევია ნაწილი ქუთაისის გუბერნიისა: აჭარა-ახალციხის უღელტეხილები. კ. კოხის მოგზაურობის 15 წლის შემდეგ დორპატის უნივერსიტეტის პროფ. ბოტანიკოსმა ბუნგემ დასტამბა 480 სახელწოდება მცენარისა, რომელიც შეუკრებია გეოლოგ აბიხს კავკასიის გეოლოგიურად გამოკვლევის დროს.

შემდეგ გამოვიდა შრომა რუპრეხტისა სათაურით: „Флора Дагестана“. 1864 წ. ქუთაისის გუბერნიაში უმოგზაურნია ტფილისის მუზეუმის დირექტორს რადდეს, რომლის შეკრებილი გერბარიები ინახება ტფილისის მუზეუმში და სრულიად წამხდარა მოუვლელობისა გამოო,—ამბობს რეფერენტი.

კავკასიის თანამედროვე ბუნების მკვლევართა შორის რეფერენტი სამართლიანად უთმობს პირველ ადგილს კავკასიაში სახელმწიფო ქონებათა მმართველს ი. ს. მედვედევს,*) რომელსაც ერთი დიდი ტომი გამოკვლევა აქვს დაწერილი კავკასიის მცენარეების შესახებ: „Деревья и кустарники Кавказа“. შემდეგ რეფერენტი შეეხება სულ ეხლა ხან უცხოეთში გარდაცვლილ რუსეთის მკვლევარს ნ. მ. ალბოვს, რომლის თხზულებაში „Profromus florae Colchicae“ აღწერილია 1,515 სხვა-და-სხვა გვარი მცენარე. დანარჩენ მკვლევართა შორის რეფერენტი იხსენიებს აკინფიევს, ლიპსკის, ბროტერუსს, კუზნეცოვს, კრასნოვს, ფომინს და მარკოვიჩს.

კავკასიის ბუნების მკვლევართა ამ მოკლე სიიდგან დაინახავთო, სთქვა რეფერენტმა, რომ ისეთი ვრცელი ქვეყანა, როგორიც კავკასიაა, ასე ნაკლებადაა შესწავლილი, განსაკუთრებით ის მისი ნაწილები, სადაც ბუნების ამგვარი სიუხვეა. რაც შეეხება ბაქოს, განჯა-ერევნის გუბერნიებს, ქუთაისის გუბერნიის სამხრეთ ნაწილს, თავისუფალ სვანეთს, რაჭა-ლეჩხუმს, დაღესტანს და სხ.,—ესენი ხომ სრულიად ხელშეუხებელნი არიან ჯერ-ჯერობით მკვლევართაგან. ჩვეულებრივად ბუნების მკვლევართა მომეტებული ნაწილი დროებით, ცოტა ხნით მოდიან ხოლმე კავკასიაშიო, განაგრძობს რეფერენტი, სწორეთ იმ დროს (შემოდგომის ბოლოს), როდესაც მრავალი ადრე მოყვავილე საექიმო მცენარე უკვე ყვავილდება და კიდეც ისპობა, ესეც ერთი უხერხულობა უცხო ქვეყნელ მკვლევართა დასახასიათებლად.

ახლო მომავალშიო, დაასრულა თავისი მოგზაურობის წინასიტყვაობა რეფერენტმა, პეტერბურგის ბუნების მკვლევართა საზოგადოება გამოსცემს კავკასიის მცენარეთა სიას, რომელიც ამ მხარის უფრო გულდასმით შესწავლის შემდეგ არა თუ გაირკვევა, არამედ გასამკეცდება კიდეცო.

შემდეგ რეფერენტი შეეხო თავისს რვა კაცთან ერთად 1897 წ. მოგზაურობას. ეს მოგზაურობა იმათ დაუწყიათ კავკავის გარშემო მიდამოებიდგან და რიონის ხეობით ჩამოსულან ქუთაისში. ამ მოგზაურობას აღარ ავწერთ, რადგან წერილი ისედაც გაგვიგრძელდა. საზოგადოდ იმას ვიტყვით მხოლოდ, რომ იმათ არა-ხანგრძლივს მოგზაურობას შედარებით კარგად ჩაუვლია. იმათ ბევრი ახალი ადგილი უნახავთ, შეუდგენიათ მცენარეების გერბარიები, რომელიც ზემოდ დასახელებულ საზოგადოებისთვის შეუწირავთ. თვით რეფერენტს, გარდა ამისა, როგორც ფოტოგრაფიულ ხელობის მცოდნეს, გადაუღია გზა და გზა მრავალი სურათი ნახულის ადგილებისა და ოსების ტიპები; კარგია, მაგალითებრ, მათი მემუსიკების სურათი ძველებური ჭიანურით ხელში; მათი სამლოცველოები, მაგალითებრ, ძუარირეკომი, რომელიც სავსეა ირმების და ჯიხვების რქებით; ყოველი კარგი მონადირე ნადირობის პირველად დაწყების დროს თითო რქას სწირავს თურმე თავისს სალოცავს; გადაუღია აგრეთვე წესის მყინვარები; მთები, წყალვარდნილები, ნანგრევები, ხიდები, მდინარეები, ხეობები, მცენარეები, მოგზაურთა სურათები და მრავ. სხვ. ეს სურათები რეფერენტმა ზოგი ეკრანზედ და ზოგიც ისე დამზადებული აჩვენა დამსწრე საზოგადოებას. მასვე შეუკრებია ბევრი, ჯერ აღმოუჩენელი, ახალი საექიმო მცენარე.

დარწმუნებული ვართ, დაასრულა რეფერენტმა თავისის მოგზაურობის აღწერა, რომ ჩვენის საზოგადოების ფლორისტიული განყოფილება დღეის შემდეგ კიდევ უფრო დაინტერესდება კავკასიის ბუნებით და დიდს მონაწილეობას მიიღებს იმისს გამოკვლევის საქმეში. ამის პასუხად კრების თავმჯდომარემ პროფესორმა ტიხომიროვმა იმედი აღუთქვა. გაათავა თუ არა რეფერენტმა კითხვა, დამსწრე საზოგადოებამ მადლობა გამოუცხადა და რეფერატით დაინტერესებულმა წევრებმა ბევრი რამ ჰკითხეს. მაგალითებრ, ერთმა ჰკითხა: სვანეთში, ან ოსეთში პური ან ქერი რამდენის ფუტის სიმაღლეზედ მოდის და ან კიდევ სხვა მცენარეები რა სიმაღლეზედ იზდებაო. ეს ჩვენთვის პრაქტიკული კითხვააო, სთქვა ცნობის მოყვარემ, თუ ამის რაოდენობა გვეცოდინება სინამდვილით, შეგვეძლება ზოგიერთი კავკასიური მცენარე რუსეთის ცივ ადგილებშიაც მოვაშენოთო; მაგალითად, რატომ არ შეიძლება იქაური საპური მცენარეები არხანგელსკის გუბერნიაში დავთესოთო და სხ.

დასასრულ უნდა ვთქვათ, რომ ბ-ნ ტყეშელაშვილისათვის რეფერატის წაკითხვა პოლიტეხნიკურ მუზეუმის განყოფილებაშიაც უთხოვნიათ.

ი. გრიგოლისძე

*) მოსკოვის ფლორისტიულ საზოგადოების წევრია.

ყვეტილების დროს პოლიციის მოწმობით, რომელშიაც ნათქვამია, რომ იუზბაშევს არავითარი უძრავ-მოძრავი ქონება არ აქვსო, თუმცა, როგორც შემდეგ აღმოჩნდა, იმავე მოწმობაში ყოფილა, რომ იმისი ერთი ძმა ნაფიც ვექილის თანაშემწეა და მეორე—ტყის უფროსიო.

ხმოსანმა ს. დ. ლისიციანმა სთქვა, რომ საეჭვო არის, სტუდენტ იუზბაშევზედ უფრო ღარიბი სტუდენტი არავინ იყოს, მაგრამ მთხოვნელი თუ მარტო ის აღმოჩნდა, ეს იმის ბრალია, რომ გამგეობას არ გამოუცხადებია ამ სტიპენდიის არსებობაო. მ. ი. დოლუხანოვმა სთქვა, რომ ეხლა დავამტკიცოთ კომისიისა და გამგეობის წინადადება, მაგრამ სამერმისოდ დავავალოთ გამგეობას, უთუოდ გამოაცხადოს საყოველთაოდ, როცა სტიპენდია არისო. ა. ა. იოანესიანმა მოახსენა საბჭოს, რომ ერთი ძმა სტუდენტის იუზბაშევისა უკვე სარგებლობდა ამ სტიპენდიით და მეორე ძმასაც რომ ეგევე სტიპენდია დაუნიშნოთ, რაღაც საჩოთირო არისო. გარდა ამისა, სტუდენტ იუზბაშევის ერთი ძმა ნაფიც ვექილის თანაშემწეა, მეორე ძმა—ტყის უფროსი და, მაშასადამე, ის ისეთ ღარიბ სტუდენტად არ შეიძლება ჩაითვალოს, რომ იმაზედ უფრო ღარიბი სხვა არავინ იყოსო.

საბჭომ უარ ჰყო კომისიისა და გამგეობის წინადადება და დაადგინა—ადგილობრივ (ტფილისის) გაზეთებში გამოცხადდეს, რომ თავისუფალია ხსენებული სტიპენდია.

საბჭომ ეგრეთვე არ შეიწყნარა გამგეობის წინადადება იმის შესახებ, რომ 128 საჟენი საქალაქო მიწა, მდებარე პოლიციის მე-9 განყოფილებაში, ანტონოვის ქუჩაზედ, საბჭომ მიჰყიდოს ანნა აზატოვისას საჟენი ერთ მანეთად, და დაადგინა ეს საგანი გადაეცეს განსახილველად საფინანსო კომისიას.

გამგეობის გარდაწყვეტილების თანხმად, საბჭომ დროებით უარ ჰყო ტავრიდის გუბერნატორის შუამდგომლობა იმის შესახებ, რომ ტფილისმა შემწეობა აღმოგვიჩინოს ყირიმში ღარიბ ჭლექიანთათვის სანატორიის გამართვაში.

## წერილი ქუთაისიდგან

ჩვენის საზოგადოების წარსულ კრებებს, რომლებზედაც ამოარჩიეს თავიანთი წარმომადგენელნი სათავად-აზნაურო ბანკის პატრონად, ბევრი კარგი მხარე აქვს და ბევრი ცუდი. ამ კრებებზედ ცხადად გამოჩნდა, რომ ერთი ნაწილი ჩვენის საზოგადოებისა არჩევანის დროს ხელმძღვანელობს არა თავისის საკუთარის გონებითა და სურვილით, არამედ სხვისის ჭკუით, სხვისის ჩაგონებით და სურვილით. ეს ცუდი გარემოებაა, რასაკვირველია, კარგი მხარე ამ კრებებისა კიდევ ეს არის. საზოგადო კრებამ თავად-აზნაურობისამ ერთხმივ გადასწყვიტა, რომ ეს დიდი თანხა (450,000 მ.) მოხმარდეს საზოგადო საჭიროებას—სწავლა განათლებას, რაიცა მართლა არსებითს საჭიროებას შეადგენს თავად-აზნაურობისათვის. აქ საჭიროდ მიგვაჩნია ვთქვათ, რომ მეთაურობა ამისთანა სასახელო და სასიქადულო გარდაწყვეტილებაში ეკუთვნის გურიის თავად-აზნაურობას, რომლის კერძო გარდაწყვეტილება დიდის აღტაცებით იყო მიღებული დანარჩენის თავად-აზნაურობის მიერ და გადიქცა მთელის გუბერნიის თავად-აზნაურობის გარდაწყვეტილებად. აქვე მოვიყვან გურიის თავად-აზნაურობის გარდაწყვეტილების შინაარსს:

„1899 წელსა თებერვლის 19 დღესა ჩვენ გურიის თავად-აზნაურთა ყველა გვარეულობის წარმომადგენელნი, რომლებსაც უმაღლესის მთავრობის დადგენილების თანახმად გვერგება დასაბრუნებლად ერთხელვე მამა-პაპებისაგან საერთო საქმისათვის დატოვებული ფული—სრული თანახმანი ვართ ხელუხლებლად, საერთო სასარგებლო საქმისათვის დავსტოვოთ ეს ძველებისაგან კეთილის მიზნით ნაანდერძევი ქონება; ჩვენ სრული თანამგრძნობელი ვიქნებით იმ აზრის, თუ ეს საერთო თანხა მოხმარდება რამე წინდაწინვე უმრავლესობისაგან საუკეთესოდ, საერთო სასარგებლოდ ცნობილ საქმეს; ხოლო თუ საერთოდ ყველასაგან მიღებული რამე წინადადება არ იქნება, რომლის გამოც ეს ფული საერთოდ გუბერნიის საჭიროების მოსახმარებლად გადადებულ იქმნას, ჩვენ მთხოვნელი ვართ, ეს თანხა შეინახოს რომელსამე საიმედო საკრედიტო დაწესებულებაში, რომლის სარგებელი სავსებით ყოველ წლიურად მოხმარდეს სწავლა-განათლების საჭიროებას; თუ აქაც საერთო საშუალება არ იქნა გამონახნილი, რომლისათვისაც საჭირო იქნება მთელის გუბერნიის თავად-აზნაურობის თანხა, მაშინ ჩვენ ვითხოვთ საგუბერნიო კრების წინაშე, ჩვენი ხვედრი ფულის სარგებელი გადადებულ იქმნეს ოზურგეთის მაზრის სწავლა-განათლების საჭიროებისათვის".

ხელს აწერს მაზრის მარშალი და 62 თავად-აზნაური.

თავად-აზნაურთა წარმომადგენლების არჩევანზე გამოჩნდა, რომ ერთს გმირს დიდი სურვილი აქვს, არ გაიყვანოს შორაპნის თავად-აზნაურობის წარმომადგენლად გუბერნიის მარშალი თ. ს. გ. წერეთელი, რათა ამ უკანასკნელს არ ჰქონდეს თავმჯდომარის უფლება ბანკის წარმომადგენელთა არჩევანებზე. ეს ცბიერება არ გამოეპარა მახვილ-გონებიან გურიის თავად-აზნაურობას და თავისის მარშლის პირით პირველმა მიმართა ბ-ნ წერეთელს და სთხოვა მას, კენჭი ეყარა გურიის თავად-აზნაურების წარმომადგენელთა კანდიდატების სიაში. ამის შემდეგ ყოველის მაზრის თავად-აზნაურობამ მიმართა გუბერნიის მარშალს იმგვარისავე თხოვნით და ყველგან დიდის უმრავლესობით იქმნა ამორჩეული, ხოლო გურიის, სენაკის, ზუგდიდის და ლეჩხუმის თავად-აზნაურობამ ერთხმივ ამოირჩია იგი თავისს წარმომადგენლად. ბ-ნმა მარშალმა ყველა მაზრის თავად-აზნაურობას მადლობა გადუხადა ამისთანა თანაგრძნობისათვის და დარჩა გურიის წარმომადგენელთა სიაში. რაიცა შეეხება შორაპანს, სადაც თ. წერეთელი მემამულედ ითვლება, მისმა თავად-აზნაურობამ არ ამოირჩია იგი თავისს წარმომადგენლად, რადგან ამ მაზრის ამომრჩეველებს საზოგადოების აზრით, ხელმძღვანელობდა ხსენებული გმირი. შორაპნის მაზრის თავად-აზნაურობიდან თ. წერეთელმა მიიღო 42 თეთრი და იმდენივე შავი. ამ ამბავმა გამოიწვია სამართლიანი საყვედური მთელის გუბერნიის თავად-აზნაურობისა შორაპნის თავად-აზნაურობისადმი. ამ საყვედურის გამოცხადებაშიაც პირველობა იკისრა გურიის თავად-აზნაურობამ. თ. ნ. თავდგირიძე ჰკითხავს შორაპნის მაზრის მარშალს, თუ რამდენი თეთრი კენჭი მიიღო გუბერნიის მარშალმა შორაპნის მაზრის თავად-აზნაურობისაგანაო.

— ორმოც-და-ორი თეთრი და ამდენივე შავი, იყო პასუხად.

— მაშ ამ სამწუხარო ამბის გამო აქ დამსწრე გურიის თავად-აზნაურობის სახელით ვუცხადებ დიდს სამდურავს და უკმაყოფილებას და იმედი მაქვს ამ განცხადებას მიემხრობა დანარჩენი მაზრების თავად-აზნაურობაც, სთქვა ბ-ნმა თავდგირიძემ; ამ განცხადებას აღტაცებულის ტაშის ცემით მიეგება დანარჩენი საზოგადოებაც და მიემხრო გურიის თავად-აზნაურობას.

## წერილი სამურზაყანოდგან

თებერვლის სუსხმა ამინდმა ათას გვარი სნეულება გააჩინა ჩვენში. უბედურება ამასთანავე ის არის, რომ ავადმყოფობასთან საბრძოლველად სრულიად მოუმზადებელია ეს მხარე; რაც თავი და თავია—არც ექიმი გვყავს და არც წამალი იშოვება. ამ მხრივ მთლად უყურადღებოდ არის მთელი სამურზაყანო და კოდორის განყოფილება. ამ ორ განყოფილებაში, სადაც მცხოვრებთა რიცხვი 80,000 სულია და რომლის სივრცე 1600 ოთხ-კუთხი ვერსი იქნება, ერთად-ერთი ექიმია, მასთან, სამწუხაროდ, კაცი ფრიად სნეული, რომელსაც ცხენით სიარული ეძნელება და მით უფრო ქვეითად. ამასთანავე ის სახელმწიფო სამსახურს უნდება და ძალაც რომ შესწევდეს, მაინც მოუცლელია გარეშე ავადმყოფთათვის. აგრეთვე არის ორი ფერშალი და ერთი ვითომ და აფთიაქი. აი ეს არის და ეს. ამით თავდება სამკურნალო დაწესებულება სამურზაყანოსა და კოდორის განყოფილებისა.

ბევრჯელ გამიგონია, რომ ფერშალმა 7—10 ვერსის მანძილზე წასვლის ქირად ავადმყოფისაგან 25 მანეთი აიღოო. როდესაც გაკვირვებით მიკითხავს: კარგი, ვთქვათ, ფერშალმა თავისი იკადრა, მაგრამ ავადმყოფის პატრონმა რისთვის ჩაუთვალა ეს ფულები მეთქი, უპასუხნიათ—„სოფელი ვნახე უძაღლო, შიგ გავიარე უჯოხოდო".

ამას წინად ოჩამჩირეში ერთი ახალგაზდა შეძლებული კაცი გახდა ავად. პირველად თურმე სეუკელანი კარზე ფეხს იმტვრევდნენ, მაგრამ მალე უკლეს სიარულს და ბოლოს მთლად დაანებეს თავი. როდესაც შევხვდი ფერშალს და ვკითხე,—ეხლა რად არ დადიხართ ავადმყოფთან-მეთქი, მიპასუხა: ხელად ფულს არ იძლევიან და ისე მე მაგის მუშა არ გახლავართო. საქმე გაჭირდა და სოხუმიდგან მოიწვიეს ექიმი ბ-ნი დ—ვი. ავადმყოფი გასინჯა ექიმმა, დაათვალიერა წამლების შუშები და ასე უთხრა იქ დამსწრეთ თურმე: თქვენ ღვთის ანაბარად ყოფილხართ დატოვებული, ეხვეწეთ ღმერთს, გაკმართოთ ამდენი ტანჯვაო. ავადმყოფს წამლები მიუღია, მაგრამ როგორ გაიგო, რა წამალი მიიღო, როდესაც შუშებს წარწერა არა აქვსო.

ამბობენ, რომ ოჩამჩირეში ჩქარა დაარსდება ავადმყოფთა თავ-შესაფარიო. ღმერთმა ინებოს!

კ. გვასალია

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

**სოფ. ნოსირი**, (სენაკის მაზრა). აქ არსებობს ერთი ერთ-კლასიანი სამინისტრო სკოლა, რომელშიაც სამოცდა-ათამდე მოსწავლე სწავლობს, მაგრამ საზოგადოება მაინც კმაყოფილი არ არის, რადგან მთხოვნელი მრავალია და ადგილი-კი ძლიერ ცოტა. საზოგადოებაში ბევრს ადგილას შეხვდებით ლაპარაკს ამ სკოლის ორ-კლასიანად გადაკეთების შესახებ, მაგრამ, რადგან ქართულს ენაზედ არ არის სწავლა, ამისათვის ბევრი უარზედ სდგას. ერთმა კაცმა სრულიად საფუძვლიანად იოხუნჯა: ღმერთმა ენა მომცა და მუნჯურად რად ვილაპარაკებო.

აქ იყო გამრავლებული მაგარ სასმელების დუქნები, რომლებიც დროთა ვითარებისა გამო დაიკეტა. ეხლა ერთს კაჭარს სურს ნება აიღოს მაგარი სასმელების გაყიდვისა, მაგრამ ადგილობრივმა მამასახლისმა ნება არ დართო, რადგანაც წარსულს წელს ღვინით გაუძღენთილ რაინდის ტყვიის მსხვერპლი გახდა ანდრო უჩანეიშვილი.

გზებს ცოტა შეკეთება სჭირდება და კარგს იზამს ჩვენი მამასახლისი, ყურადღებას მიაქცევდეს. ყელჭირვებამ რამდენიმე ადამიანი იმსხვერპლა, თუმცა ეხლა-კი ცოტად შეცირდა. აქეთ ხშირად ცუდი ამინდებია, რის გამოც მცხოვრებლები ჯერ სამუშაოდ არ გასულან მინდვრად.

მობრუნებულიშვილი

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან)

გაზეთ „С. Петерб. Вѣдом."-ის უკანასკნელ ნომერში (61) დაბეჭდილია მეტად საყურადღებო და საინტერესო წერილი მოსწავლე ახალგაზდობის შესახებ. ავტორი წერილისა ბ-ნი ნ. პოზნიაკოვი დასაწყისში ამბობს, რომ საზოგადოდ ჩვეულებად არის გადაქცეული ახალგაზდობის გაკიცხვა. ახალგაზდობას ჰკიცხავენ როგორც სიტყვიერად, აგრეთვე ჟურნალ-გაზეთების შემწეობით. ყოველის მხრივ უკმაყოფილება გაისმის: ახალგაზდობა არაფერს აკეთებს, არაფერს ესწრაფვება, იმისი ერთად-ერთი სურვილი, იდეალი „მუნდირი", „კაკარდა" და სხვა ამგვარიაო.

„მაგრამ თუნდაც რომ ასე იყოს, ვინ არის აქ დამნაშავე? განაგრძობს ავტორი. ვინ არის, მაგალითად, დამნაშავე, როდესაც ახალგაზდა, გასათხოვარი ქალი უგულო და არაფრის მცოდნეა? განა თვით დედებს არ უნდა დაედოთ ბრალი იმისა, რომ პირველის დღიდგანვე არა სცდილობენ ქალების განვითარებას, იმათის ჭკუა-გონების გამდიდრებას? ასევეა ახალგაზდობის საქმეც. თუ იგი ფუქსავატია, განა თვით საზოგადოება არ უნდა იყოს ამის დამნაშავე? ახალგაზდობა ყველგან და ყოველთვის ახალგაზდობაა, და მიმართულება ამ ახალგაზდობას უნდა მისცეს თვით იმ საზოგადოებამ, რომელმაც იგი შექმნა. მაშასადამე, თუ საზოგადოება უკმაყოფილოა ახალგაზდობისა, უკმაყოფილოა იგი თავისის თავისა: მან ვერ მისცა ახალგაზდობას საჭირო საზრდო, ვერ აღზარდა კეთილს ნიადაგზედ. ახალგაზდობას სჭირია პატიოსანი, გულით წმინდა, მოსიყვარულე, რწმენითა და იდეით გატაცებულნი ხელმძღვანელნი; ხოლო თუ ახალგაზდა ეტანება ბანქოსა და სხვა ამგვარ რასმეს, აქ დამნაშავეა ის გარემოება, რომ ხელმძღვანელნი არა ჰყავს.

„საყვედურებისა და გაკიცხვის ნაცვლად, განა უმჯობესი არ იქმნება ეს გამკიცხავნი ჩაუკვირდნენ იმ გარემოებათ, რომელთა შორის იზრდება და ვაჟკაცდება ახალგაზდობა? სულსწრაფობას ნუ გამოვიჩენთ, ნუ აჩქარდებით და ნუ დავადგენთ სასტიკ განაჩენს ახალგაზდობის შესახებ; გავიხსენოთ, რომ ამ ახალგაზდობის უმრავლესობა აუცილებელი ნაყოფია მთელის 25—30 წლის შეცდომისა, 1871 წლიდგან არსებულის განათლების წეს-რიგისა, და მაშინ დავინახავთ, რომ თუ კარგი რამე კიდევ მოიპოვება ახალგაზდობაში, ეს სრულიად და სავსებით ამ ახალგაზდობის უნარსა და მეცადინეობას უნდა მიეწეროს. საზოგადოება, სკოლა და საშუალო განათლება-კი არაფერს არა სძენს: ლათინურისა და ბერძნულის გრამატიკის ყოველდღე კითხვამ, უხეიროდ შედგენილ სახელმძღვანელოების შემწეობით ომებისა და გამარჯვება დამარცხებათა გაზეპირებამ, რა ცოცხალი, გონების გამამდიდრებელი მასალა უნდა შესძინოს ახალგაზდობას?

„ახალგაზდობა ისეა დაშორებული ცხოვრებას, ისეა გატყორცნილი იმისაგან სიყმაწვილისა და სიჭაბუკის დროს, რომ მხოლოდ უნივერსიტეტში შესვლის დროს სდგამს პირველ ნაბიჯს ამ ცხოვრებაში. მაშასადამე, საკვირველი არ უნდა იყოს, თუ ეს პირველი ნაბიჯი შესცდა და ისე არ გადასდგა, როგორც სასურველია.

გავიხსენოთ ყველა ეს, დავუკვირდეთ იმგარემოებათ, რომელთა შორისაც ჩვენი ახალგაზდობა იზრდება და ვითარდება, გავზომოთ გოჯით ის ჩარჩოები, რომლითაც შეზღუდულ-შემოფარგლულია ეს განვითარება, და მაშინ გული მოგვირბილდება და ასე სასტიკად აღარ გავკიცხავთ ახალგაზდობას. პირ-იქით, გავკვირდებით კიდეც, რომ ახალგაზდობა ისეთია, როგორიც არის და არა ამაზედ უარესი.

ჩვენ, მოხუცებულთ, გვახსოვს უნივერსიტეტი ამ 25—30 წლის წინად, როდესაც იმის კარები ღია იყო ყველასათვის, ვისაც სწავლა და მეცნიერება სწყუროდა (რეალურ სასწავლებლებში სწავლა დამთავრებულთათვისაც და სასულიერო სემინარიების მოსწავლეთათვისაც, რომელნიც შედიოდნენ უნივერსიტეტში მშვენიერად მომზადებულნი და განვითარებულნი და რომელნიც შეადგენდნენ უნივერსიტეტის სახელსა და სიამაყეს); ჩვენ გვახსოვს, ვიცით და გვესმის, რა იყო ეს უნივერსიტეტი, რა საზრდოს მომცემი იყო იგი სახლი. მას შემდეგ უნივერსიტეტი შესამჩნევად შეიცვალა: იმის შემდეგ, რაც საშუალო განათლება და უნივერსიტეტში შესვლის უფლება მეტად შეზღუდულ იქმნა, დაეცა უნივერსიტეტის სულიერი სიდიადე, ნაყოფიერებაც,—მაგრამ მაინც არა ისე ძლიერ, როგორც ეს ზოგიერთთ მიაჩნიათ. ამ შეცდომის გასწორება ადვილია: საჭიროა მხოლოდ გაფართოებულ, გაცოცხლებულ და უკეთეს ნიადაგზედ დაყენებულ იქმნას საშუალო განათლება და უნივერსიტეტის კარები სწავლისა და მეცნიერების შეძენის ყველა მსურველთათვის გაიღოს,—რამოდენისამე წლის შემდეგ უნივერსიტეტი ძირითადად შეიცვლება, იგი გაბრწყინდება და აღყვავდება.

„თუმცა აქვე უნდა ვთქვათ, რომ ზოგიერთის თვალში ახალგაზდობა არასოდეს არ განკარგდება, მათის აზრით იგი მუდამ ფუქსავატი, უაზრო იქმნება. მაშ თუ ახალგაზდობას ასეთის თვალით უყურეთ, რაღას უნდა გამოველოდეთ ცხოვრებისაგან რამდენისამე წლის შემდეგ, როდესაც იგი ახალგაზდობა ჩაუდგება ცხოვრებას კვალში, როდესაც იმის ბედ-იღბალის გამგებელი ის იქმნება. ნამდვილად-კი ეს ასე არ არის. ამ გამკიცხველთ ბევრი რამ ავიწყდებათ და, სხვათა შორის, ისიც, რომ საჯარო წიგნთ-საცავებში მოსიარულეთა უმრავლესობას ახალგაზდობა შეადგენს, აწინდელ ეკონომიურ ვითარების შემსწავლელი და იმის გამო სჯა-ბაასის დამწყობი იგივეა, და იგივ ახალგაზდობა მრავალ სხვაშიაც პირველობასა და მესვეურობას იჩენს".

დასასრულ ავტორი ამბობს, რომ ხშირად უსაყვედურებენ ახალგაზდო-

ბას გატაცებას, შეცდომას, მაგრამ რა ახალგაზდობაა ის ახალგაზდობა, რომელსაც არაფერი არ აინტერესებს, არ იტაცებს, რომელსაც ძარღვებში სისხლი არ უდუღს და არ უმოძრაობსო?

# რუსეთი

როგორც „Рус. Вѣд.“-ი იუწყება, ხმა დადის, რომ საერო განათლების სამინისტრომ გადასწყვიტა დააარსოს ამ მიმდინარე წელს ოდესის საიმპერატორო უნივერსიტეტთან სამკურნალო ფაკულტეტიც.

— როგორც მკითხველებმა უკვე უწყიან, აზრადა აქვთ ივნისში მოსკოვს მოახდინონ სრულიად რუსეთის წიგნების გამომცემელთა და ვაჭართა კრება. კრების უმთავრესი საგანი წიგნის ვაჭრობისა და გამომცემლობის საქმის განწეს-რიგება იქმნება. ჰფიქრობენ დააარსონ განსაკუთრებული სკოლა წიგნების-გამომცემლობის და ვაჭრობის საქმისა.

— საერო განათლების სამინისტრომ შეიტანა სახელმწიფო საბჭოში მოხსენება დონის როსტოვში საშუალო სამექანიკო-სატეხნიკო სასწავლებლის დაარსების შესახებ.

— მიწად-მოქმედების მინისტრის ნება-რთვით წელს რუსეთის მრავალს ადგილას გამართული იქმნება სასოფლო-სამეურნეო ნაწარმოებთა გამოფენები. რათა გააადვილონ ამ გამოფენათა გამართვა და შეძლება მისცენ სოფლის მცხოვრებთ მონაწილეობა მიიღონ გამოფენებში, მიწადმოქმედების დეპარტამენტმა შუამდგომლობა აღძრა იმის შესახებ, რომ რკინის გზებზედ დაკლებულ იქმნას იმ საქონლის გადაზიდვის გარდასახადი, რომელსაც გამოფენებზედ გაჰგზავნიან.

# უცხოეთი

**გერმანია.** გერმანიის რეიხსტაგში დიდი კამათია თურმე ატეხილი საბიუჯეტო კომისიის გარდაწყვეტილების გამო ჯარის გამრავლების შესახებ. სამხედრო მინისტრი და გენერლობა დიდად უკმაყოფილონი არიან, რომ კომისიის უმრავლესობას არა სურს ჯარის გასაძლიერებლად ახალი ხარჯი იქმნას გაწერილი. რეიხსტაგის დეპუტატებს ეშინიათ, რომ მთავრობამ სასტიკ ღონისძიებას არ მიმართოს, ე. ი. რეიხსტაგი არ დაითხოვოსო. მინისტრთა საბჭოს, თავ. გოგენლოეს თავმჯდომარეობით, დაუდგენია, ასეთი საშუალება არ იქმნას მიღებული, რადგან რეიხსტაგის დათხოვნა გავლენას იქონიებს საზოგადო პოლიტიკაზედ, რაიცა ამ ჟამად სასურველი არ არისო.

ჟურნალ-გაზეთების აზრი ამ საგნის შესახებ ორად გაყოფილა; კონსერვატიული გაზეთები, რომელთაც არ მოსწონთ ეხლანდელი სამინისტრო, სცდილობენ რეიხსტაგი დათხოვნილ იქმნას იმ იმედით, რომ ახალ რეიხსტაგს იქნება სამინისტროს გამოცვლაც მოჰყვესო.

**საფრანგეთი.** „საფრანგეთის მამულიშვილთა ლიგის“ წევრებს მი-განხეთქილება მოსდით ერთმანეთთან, დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, რაც ეს „ლიგა“ დააარსეს საფრანგეთის გამოჩენილმა მწერლებმა. როგორც თითონ ამბობენ, ლიგის დანიშნულება ის იყო, რომ მშვიდობიანობა დაემყარებინა საფრანგეთში და სხვა-და-სხვა დასებს შორის განხეთქილება მოესპო. ამის ნაცვლად-კი ამ საზოგადოებამ უფრო არივ-დარია საფრანგეთის შინაური საქმეები, და წინანდელზედ მეტი შფოთი და განხეთქილება ჩამოაგდო დასებს შორის. ერთი სიტყვით, ეს საზოგადოება იმავე გზას დაადგა, როგორსაც ადგა „პატრიოტთა ლიგა“, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ, როგორც გაზეთებმა ხმა გაავრცელეს, უფრო მალულად აპირებს მოქმედებას, ვიდრე უკანასკნელი. მაგალითად, სამხედრო მინისტრმა სასტიკად აღუკრძალა აფიცრებს იმ საზოგადოებაში მონაწილეობის მიღება, რომელსაც პოლიტიკური ხასიათი აქვს, მაგრამ ლიგის მოთავეებმა განაცხადეს, რომ აფიცრების სახელსა და გვარს არ გამოვაცხადებთ და თუ-კი ჩაეწერებიან წევრებად, შიში ნურავისა აქვსო.

მაგრამ, როგორც ეტყობა, ამ ლიგას დიდი დღე არ უნდა ჰქონდეს, რადგან ერთმანეთ შორისაც ვერ მორიგებულან მისი დამაარსებლები და ხელმძღვანელნი. ისინი სწამებენ ერთი მეორეს გაუბედაობას, მშიშარაობას და სხ. ასეთ წერილებს თითქმის ყოველდღე უძღვნიან წევრები ერთმანეთს. ასეთი საყვედური შეხვდა ამ დღეებში მორისბარესს, რომელსაც სიტყვა უნდა წარმოეთქვა კრებაზედ, მაგრამ თავი დაანება ამ განზრახვას. მორისმა თავისს მხრივ საყვედური უძღვნა ლიგის კომიტეტს და კერძოდ ლემეტრის. უკანასკნელი უკან არ ჩამორჩა მორისს და ამ რიგად გაიმართა ერთმანეთის ლანძღვა-გინება.

—

— ტულონში მომხდარ აფეთქების მიზეზთა გამოსაძიებლად მთავრობამ გაჰგზავნა გენერალი ჟაკუპე. ამ უკანასკნელმა საქმე გამოიძია და უკვე დაბრუნდა პარიჟში. ეს გამოძიება, რომელიც ზღვათა მინისტრისათვის უნდა წარედგინა, ჯერ არ არის გამოქვეყნებული, მაგრამ, გაზეთების სიტყვით, საკმაოდ გამორკვეულია, რომ უბედური შემთხვევა არ მიეწერება თოფის წამლის გამგეთა დაუდევრობას, როგორც ზოგნი ფიქრობდნენ. ამის გამო ბევრნი ისევ იმ აზრს დაადგნენ, რომ აფეთქება, რომელმაც 200 კაცამდე იმსხვერპლა, ბოროტ-განმზრახველებმა მოახდინესო. დახოცილთა ოჯახებისა და დაჭრილთა სასარგებლოდ პარიჟში 100,000 ფრანკი შეუგროვებიათ. ეს ფულები უკვე გაუგზავნა ტულონის მერს დანიშნულებისამებრ დასარიგებლად.

დეპუტატს ალიარს აზრად ჰქონია შეეკითხოს ზღვათა მინისტრს მომხდარ უბედურების შესახებ.

—

**ჩერნოგორია.** უკანასკნელ დროს სხვა და სხვა მიზეზების გამო ძლიერ გამწვავდა დამოკიდებულება სერბიასა და ჩერნოგორიას შორის. ამიტომ უმნიშვნელო შემთხვევას ანუ რაიმე მოვლენას ერთ-ერთ ამ ქვეყანაში უთუოდ პოლიტიკურს მნიშვნელობას მისცემენ ხოლმე. ამას წინად, მაგალითად, სერბიის წარმომადგენელი მაშინი თავისის საკუთარის საქმეების გამო წავიდა დროებით ცეტინიიდგან დუბროვნიკში. გაზეთებმა ხმა გაავრცელეს, რომ მაშინი მთავრობამ დაიბარა ცეტინიედგან და, მაშასადამე, დიდი განხეთქილება უნდა მომხდარიყოს სერბიასა და ჩერნოგორიას შორისო. ბოლოს-კი გამოირკვა, რომ მაშინი თავისის საქმეებისათვის იყო წასული და კიდევაც დაბრუნდა ცეტინიეში.

—

**კრიტი.** განსაკუთრებულმა კომისიამ უკვე შეიმუშავა კრიტისთვის კანონმდებლობა, რომელიც საეროვნო კრებამ კიდევაც შეიწყნარა. ამ კანონების მალით, ყველა კრიტელისათვის, სარწმუნოების გაურჩევლად, სავალდებულოა სამხედრო სამსახური. ეს წესი არაფრად მოეწონათ კრიტელ მუსულმანებს და ბევრი მათგანი ოსმალეთში აპირებს თურმე გადასახლებას. ბატონიშვილი გიორგი, კრიტის გენერალ-გუბერნატორი, შეჰპირებია მუსულმანებს, რომ აქვე დარჩით, ნურსად მიდიხართ, და განსაკუთრებულს ყურადღებას გიქონიებ თქვენზედაო, მაგრამ, როგორც ჰფიქრობენ, ეს სიტყვები დიდს გავლენას ვერ იქონიებს მათზედ და ბევრი მათგანი გადასახლდება ოსმალეთში.

# დამაკვირდი

სიმყრალისაგან მოყვარე მოყვარეთ ვერ იცნობდიან, და მშიერთა ცრემლნი მაძღართა გულქვათა ვერ აღბობდიან.

სულხან საბა

* * *

ცუდად ყოფნისა წამალად ვსვი ცუდი შარბათები.

ვახტანგ VI

* * *

ესარწმუნოებოდ სახელმწიფოს არსებობა არ შეუძლიან, — იგია მისი ბოძი.

გეორგ ვებერი

# დეპეშა

8 მარტი.

**პეტერბურგი.** 8 მარტს დედოფალმა იმპერატრიცამ მარიამ თეოდორეს ასულმა დაათვალიერა ობოლთა ინსტიტუტი იმპერატორის ნიკოლოოზისა.

**კალუგა.** გუბერნატორთან კრება ჰქონდათ გუბერნიის სხვა და სხვა დაწესებულებათა წარმომადგენელთ. შესდგა პუშკინის კომიტეტი, რომელმაც უნდა შეადგინოს პროგრამმა დღესასწაულებისა პუშკინის დაბადებიდგან ასის წლის შესრულების გამო. აზრადა აქვთ გამართონ კალუგაში „პუშკინის სახლი“. ხელის მოწერაა გამართული პუშკინის ხსოვნის უკვდავ საყოფელად.

**ყაზანი.** სამოსწავლო ოლქის მზრუნველის, უნივერსიტეტის რექტორისა დ პროფესსორების და საზოგადოების თანადასწრებით, პარაკლისის შემდეგ, ახალის ობსერვატორიის საძირკველი ჩაჰყარეს ყაზანიდგან 18 ვერსის მანძილზედ, იმ ადგილას, რომელიც უმაღლესის ბრძანებით, სახელმწიფო აგარაკში დაეთმო განზრახულ ობსერვატორიას.

**პარიჟი.** გაზეთებში იბეჭდება ტულონიდგან გამოგზავნილი დეპეშები, რომლებშიაც ნათქვამია, რომ ექვსს მარტს, ღამე, თოფი ესროლეს ჯარის-კაცს, რომელიც ქალაქის ალაყაფის კარებიდგან 400 მეტრის მანძილზედ, ბომონის კოშკში თოფის წამლის საწყობს სდარაჯობდაო. ტყვიამ ჯარის-კაცის ფარაჯას გაუარა. დამნაშავენი გაიქცნენ. გამოძიებას თუმცა შეუდგნენ, მაგრამ ვერაფერი გამოარკვიეს.

**ტულონი.** სამხედრო მოხელენი ფორმალურად უარ-ჰყოფენ იმ ამბავს, ვითომ ბომონში თოფის წამლის საწყობის დარაჯს თავს დასხმოდეს ვინმე.

5 მარტი

**პეტერბურგი.** უნივერსიტეტის მთავრობა შუამდგომლობს იმის შესახებ, რომ სასჯელი შეუმსუბუქონ 78 სტუდენტს, რომელნიც არეულობის დროს დათხოვნილ იქმნენ. მინისტრმა დაამტკიცა ეს შუამდგომლობა. უმაღლესის ბრძანებით მინდობილი იყო წესიერების აღდგენა უნივერსიტეტში. ყველა 78 დათხოვნილ სტუდენტებს ნება მიეცა ხელახლა შევიდნენ უნივერსიტეტში. 78 სტუდენტთაგანს, 29-ს საყვედური გამოუცხადეს და სამის დღით „კარცერი“ გადაუწყვიტეს, დანარჩენთ მხოლოდ საყვედური გამოუცხადეს.

**პარიჟი.** დეპუტატთა პალატა. არენბერგი შეეკითხა მთავრობას ამას წინად მომხდარ ბუჩეში ორ აფეთქებისა და გამოძიების შედეგის შესახებ. ფრეისინემ მიუგო, რომ მიზეზი აფეთქებისა ჯერ გამოკვლეული არ არის, მაგრამ ეს კია, რომ აფეთქება ბოროტ გამზრახველობით არ არის ჩადენილი. განკარგულება მოვახდინეთ, რომ თვალ-ყური დაიჭირონ, რათა შემდეგში არ განმეორდეს ასეთი ამბავიო.

**პარიჟი.** პალატა. კლოდინონს არ სჯერა, რომ წყლის ქვეშ მოსიარულე გემმა საფრანგეთს უპირატესობა მიანიჭოს უცხო სახელმწიფოებთან შედარებით. იმის წყალობით, რომ ლოკრუამ, — განაგრძო მან, — გამოამჟღავნა ეს, ინგლისი ეხლა წყლის ქვეშ მოსიარულე გემის გაკეთებას შეუდგება. ლოკრუამ მიუგო, რომ მე მაგვარი არაფერი ჩამიდენიაო და უსაყვედურა კლოდინონს, იგი ამცირებს საფრანგეთის ფლოტის ღვაწლსა, რადგანაც ამტკიცებს, რომ საფრანგეთს უპირატესობა არა აქვს სხვა სახელმწიფოების ფლოტებთან შედარებით, მაშინ, როდესაც ჩვენი წყლის ქვეშ მოსიარულე გემი ბევრათ უკეთესია იტალიისა და გერმანიის ასეთსავე გემებზედაო. საზოგადო კამათი დასრულდა.

## წერილი რედაქციის მიმართ

უღულითადეს მადლობას ვუცხადებ ყველას, ვინც კეთილ-ინება და დახმარება აღმოუჩინა იურიევის უნივერსიტეტის სტუდენტს გიორგი გელეიშვილს.

სია შემომწირველთა: ი. გ. ჯალალოვმა — 3 მ.; ი. ს. ფანცხავამ, ვ. ა. დემიდოვმა, ლ. კონოვალოვმა, ი. კ. მულინმა და X.X.-მა ოროლი მან.; თითო მანეთი: ლ. მ. ყრუაშვილმა, ქალ. ო. პანტურიამ, ს. თ. ხოშტარიამ, დ. ს. ღულაძემ, კ. მ. ადამიამ, ლ. მ. ტუღუშიმ, სტუდენტმა ს. გამბურმა, გ. ა. საბახტარაშვილმა. ა. პრაველნიკოვმა, ა. ა. სვენჩმა, ბ. კომილიადისმა, კ. კაულფუსმა, კ. ი. მიქაბერიძემ, ბ. ზუხერმა, კ. ქამოევმა, ს. ბერეჟიანმა, X.X.-მა და ა. დ. გუგუშვილმა; ა. ბ. საბახტარაშვილმა — 60 კ.; ქ. ა. რაფაილიანცმა, ვ. ხარაბაძემ, ი. ჭკადუამ, ი. შტენცელმა, ტ. გრებენიუკმა, ა. ხოშტარიამ, ს. ნამიჩეიშვილმა, ი. ნამიჩეიშვილმა, კ. დიხამინჯიამ, მ. ნიკოლეიშვილმა; ა. ხონოლავამ, ვ. ფირალოვმა, გ. ლვინჯილიამ, ლ. მასტკოვმა, ი. გინცბურგმა და კ. ხუბუამ — ათ-ათი შაური; X.X.-მა 40 კ.; სულ 40 მან.

ამას გარდა ქ-ნ ნატალია გაბუნია-ცაგარლისამ გადმომცა 8 მანეთი, რისთვისაც მას დიდ მადლობას ვწირავ; ამ ფულიანად შესდგა 48 მან.. რომელიც ბ-ნ გელეიშვილს გარდავეცი.

იოსებ კოხრეიძე

## წერილი ბათუმის ქართველთა სკოლის გულშემატკივართა მიმართ.

სკოლის კომიტეტი მესამედ აუწყებს იმ პატივცემულ პირთ, ვისაც თავისი წვლილი შეუწირავს ამ სკოლის შენობების ასაგებად, აგრეთვე „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ ბათუმელ წევრებს და მასთან იმათაც, ვისაც-კი აინტერესებს აღნიშნული სკოლის საქმე — მობრძანდნენ და მოისმინონ ხსენებულ სკოლის აშენებაზედ და რამდენსამე ხანს შენახვაზედ დახარჯულ ფულის ანგარიში, რომლის წაკითხვა დანიშნულია 1899 წ. 14 მარტს, საღამოს 7 საათზედ, ამავე სკოლის დარბაზში.

კომიტეტის წევრი ექვთიმე ბერძენიშვილი


# განცხადებანი




(11—მ—11)

## წყალ-წმიდის ძმობისაგან.

წყალ-წმიდის სამრევლო-სამეურნეო სკოლაში ასწავლიან საეკკლესიო გალობას ნოტებით, ბ. ს. ლოსაბერიძის ლოტბარობით. მსურველთ შეუძლიანთ (კერძო კაცებს) ისწავლონ უსასყიდლოდ. რაც შეეხება ხარჯსა და ბინას, სკოლის მმართველი მისცემს, შეძლებისა დაგვარად, შეღავათით ბინასა დ ხარჯს, თუ ცოტას იმუშავებს, ან ფულად.

ახლად დაიბეჭდა დ ისყიდება
ცხოვრება ქართველთა განმანათლებელის წმ. **ნინოსი**
გადმოღებული ქართულიდამვე მდაბიურად მ. შარაძის მიერ, გამოცემული მორჩილის რაჟდენ ბარამიძისაგან.
ფასი ერთი შაური.

დაიბეჭდა და გაიყიდება
„წერა-კით. გამავრ. საზოგადოების“ მიერ გამოცემული
**საყმაწვილო მოთხრობანი**
ეკატერინე გაბაშვილისა.
**ფასი 30 კაპ.**


Дозволено цензурою. Тифлисъ 8-го Марта 8199 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა, რედაქტორ-გამომცემელი **ილია ჭავჭავაძე**